

ՅՈՒՂԱԿԱՐ.

1871

ՅՈՒՂԱՆՑ

ՄԵԼԻՌԱԾՈՅ ԹԵՂԱՄԵՐԸ.

Վ ա ջ ն ա տ ե կ յ լ յ ն ա տ ա :

- I.—ՅԱՋԵԿԱՆ ՀԱՅՈՒՅՈ (ՀԱՅԵԿ). . . ռ. ԿԱՐԵԿԵԼՈՒՄԵՏԱ.
II.—ՃՐԴԻՇ ԽՐԱԲՔՈՂՈՎԻՆ ՃՐԴԵՅԻՆ ԽՍԽԱԼԵՅԻՆ ՃՐԴԵՅԻՆ
ՉՈՐՔԵՅԻՆԱԳՅԻ. . . . ՃՀԱՋԵՏԱՆԴՐԻ ՀԱՅԵԿԵՅԱՆՐՅՈՒՄԵՏԱ.
III.—Ե. ԱԼՆՈՒՄՄՈ. (ՀԱՅԵԿ). յն. ԱՎԱՐ. ԵՐԱՆԵՐԱԿՈՎԻՆ
IV—ՃՐԵԼԱՌՈՒ. (ԹՈՒԵՐՈՒՅՈ). ՌԱՆԵ ԹԱԿԵՄԱՐԿԱՎՈՒՄԵՏԱ.
V—ԱՏԱՆԱ ՀԱՅԿԻՆ ԹԱՅՄ ՀԱՅԱՏԱՅԱԼՈ.
-

ՅՈՒՂԱԿԱՐ.

ԱՐՄԱՆԻՉԱԿԱՆ ՅՈՒՂԱԿԱՐ.

გლეხის ლილი.

მევევ, მობმანდი იმ გლეხთა შორის,
ლოცვა-კურთხევა სად სმირად ისმის;

სადაც წვრილ-შეილნი, მამაო ჩუტნი,
მადიდებელნი არიან შენი!

— შენ სარ ნუკეში, შენ სარ ჰატონი,
შენა სარ მსსნელი ქართული ერის,
შენ სარ ძეირფასი ჩუტნი ბატონი,
ვამავობთ რომ სარ მევე მრიელი.

ერთი კი ბმანე გელმწივევ ჩუტნო,
მზათა ვართ თავი მსხვერპლად შეუწიროთ;
დიდით ჸატარა, წვრილი შეილებით,
სად ბმანებთ მზათ ვართ იქ შევიკრიბოთ.

მამა-ჸაპათგან ჩუტნ ჩეულსა ვართ,
მეფის ბმანება მტიკცეთ ვიმარხოთ,

ერთი კი ბმანე და შენსა მტერსა.
რისხა, ვაება, მსწრაფლ შეუენოთ.

მოვედ, მობმანდი შენსა სამეფოს,
შენგან არს ბევრჯელ დავალებული,
მოვედ, გიშლია წინ ფიანდასად,
მადლობით სავსე გული და სული.

დიდო გელ მწი ფეხ, შენ იუგ, თდეს
მაჭმადთვან ვიუავით გოელილი,

შენ გადმოგევინე მშვიდობის კალთა,
დ შეგვითვისე როგორც რომ შვილი.

შენ იუგ იძ მთებს, ჩეტი სისხლით სავსეს,
რომ მიანიჭე მშვიდობა სრული;

სადაც დღეს მწევესი დიღინით მწესის ცხვარს
შენ დიდ საკელის მადიდებელი.

მამას მოჯვარე ტევედ ქმნილი შვილი,
ზოგს მმა, ზოგს მამა, მამულს თვს მენი;

რომელთა შორის დღეს სშირად ისმის:
„დმერთო ადიდე გელ მწი ფეხ ჩეტი.“

მსხველო! შენ მოგვეც თავისუფლება,
შენ შეგვიწინდე, შებლს ოფლი უქმი;

რომელიც დაცრია აწ ჩეტი საკუთრად
შენის წეალობით ვართ ვეელა სრული.

ენა ვერ იტევის ჩეტისედ წეალობას,
რასაც გრძნობს გული, ვერ გამოითქმის;

შენის დიდების, ქულ მოქმედების,
დიდი სახელი უოჟვლეან ისმის.

მოვედ, მობმანდი შენსა სამეფოს,
შენვან არს ბევრჯელ დავალებული;

მოვედ, გიძლია წინ ფიანდაზად
მადლობით სავსე გული დ სული!

ი. გერესელიძე.

1871 წელსა. სეუტემბრის 1-სა.

ტფილისს.

თურქეთის სუვამითლის თეგის ოსმალებისა ანუ თურქები- საგან.

ოსმანმა ანუ ოთმანმა, ომლის საკელისა კამო
თურქის ანუ ოსმალნი სამხრეთის აზიისანი ანუ სელ-
ჟუნი, უწოდებენ თავის თავსა ოსმანნად ანუ ოსმალად,
ათას ორას ოთხმოც დ სამსა წელსა დაიჭირა საბერ-
მეთის იმპერიის (სახემწიფოს) სამთავრო ბითინია, ქა-
მსა საბერმენეთის კეისრისა ანდრონიკე მეორისა შალე-
ოლოდისა, დ აირჩია თავის სატახტო ქალაქად პრეზა
ანუ თათრულად ბურზა ქალაქი ანატოლიისა, (ლევან-
ტისა), გინა მცირე აზიისა, ომლისა მახლობლად
არის ნაქცევი ტრია ანუ ტროადა ქალაქისა. სოლო
დორისა კეისრისა იოანე მესუთისა შალეოლოდისა, ან-
დრონიკე მესამის ძისა, წელსა ათას სამას ორმოც დ
ერთსა, თურქის ღელესანონტი ანუ დარდანელის შესა-
რთავიდამ შევიდნენ ევროპაში დ აიღეს ადრიანოპოლის
ქალაქი, დ როდესაც იმპერატორი ბერძენთა მანუილ
მეორე, დასკვდა მეფედ, მამან,—წელსა ათას სამას ოთ-
ხმოც დ თორმეტსა, თურქების სულთანი ბაიაზეთი შე-

მოადგა სტამბოლსა (კოსტანტინოპოლისა, მავრამ ვერ აიღო, და ერთსა ომსა შინა თითონ ჩაუარდა ტუვეთა ლანგიუმურსა (თათრების მეუკესა). ამისა შემდგომად სტა-მბოლს შემოადგნენ ბაიაზეთის მე მუსა და სულთანი ამუ-რათი, კეისრის იოანე მეუკესის დროსა, წელსა ათას თოსას ოც და თოხსა, მავრამ ვერც იმათ აიღეს.

მოკურდა რა სულთან მურადი ანუ ამურათი მეორე, იმის მავრერად შეიქმნა მემკვიდრედ ტასტისა მაჭხმედ მეორე თურქების სულთანი, ამან აჯობა უარამანის მთავრის ჯარსა და თავის უმაღლეს გახადა. ამ კამარჯვებით გათამამებულმა, რომლითაცა დაიმორჩილა სამფლობე-ლო უარამანისა, (ხორავნის სამეფო, საპარაფო), მა-ხმედ მეორემა მოინდომა აღება საბერძნეთის სატახტო ქალაქისა სტამბოლისაცა, თუმცა იყო იურ შერიცებული საბერძნეთის კეისრისა კონსტანტინე მეთერთმეტისა.

რასაკრიკელია, აღება სტამბოლისა ასმალებისაგან იურ სასჯელი ღვთისა, მოვლენილი ბერძნებზედა იმა-თის უსჯულო ქცევისათვის, რომელნიცა იმდროს ისრე გამრავლდნენ, რომ ღურთის სულგრძელებას გადააჭარბეს. ბერძნებსა ჰქონდათ ერთმანეთში ჩხები, წვალება, არეუ-ლობა და უთანხმობა; ნაცვლად ქრისტიანულის მშვიდ-ობიანად ქცევისა და სიმღაბლისა, იმათში გახშირდა მტრობა, შერი და უოველი სიბოროტე, რომლისათვისაცა ღმერთმან მოუკლინა იმათ თავისი რისხეა. ბერძნებმა, რომ გაიცეს მასმედის განზრახვა, არა სთხოვეს ღმერ-თისა შემწეობა, ღოცვითა და მარსევითა არ მოიძაბლეს

თავი; არ მოიშალეს თავიანთი ბოროტი ქცევა; ამის მაგიერად ისინი მოქმედნენ მტრის საომრად და მიწაში ჩაფლეს და შეინახეს უოველივე თავიანთი მუირვასი ნიკოლები.

მასმედმა ააშენა სტამბოლის ახლო, ზღვის პირზედ ქალაქი, ძალიან გაამაკრა, შეიტანა სარბაშნები, აავსო ხომალდებითა, ნავებითა და დიდის ჯარითა, ამისთვის ომ სტამბოლის ხალხსა სხუა და სხუა სამეფოებში საფალი ზღვის გზა შეუკრას; ამ გვარის საქმითა სულ-თანმა დაუწეო საბერძნეთსა მტრობა. ბერძნების იმპერატორმა კოსტანტინემ, გვარით ჰალეოლოდმა, თავისის დიდყაცობის რჩევითა, გაუგზავნა მასმედს მოციქული და ჭკითსა, ომლის მისეზისათვის ააშენა იმან ქალაქი და ამასთანავე სიტოვა პირველის მეცობრულის კავშირისა კელ ახლად დამტკიცება. მასმედმა უჩასუსოდ გამოაბრუნა მოციქული კონსტანტინესი და სოულებით არა უთხრარა. ამნაირი ქცევა მასმედისა კონსტანტინემ შერაცხა ნიშნად ომისა და ამისთვის დაიწეო საომრად მომზადება.

რადგანაც კონსტანტინესა იმედი არა ჰქონდა თავის, ცუდად ნასწავლის ჯარისა და სამსადისზედაც ნაკლებად იუო, ამისულისათვის გაუგზავნა ელჩები ომის პარასა, საფრანგეთსა, ცერმანიასა და სხვათა კემტიფებსა და ჸსიტოვა შემწეობა, მაგრამ უელამ უარი შემოუთვალა. ამის გამო ბერძნები იმულებულნი შეიქმნენ დაეფარათ თავისი დედა ქალაქი და ტახტი კეისრისა

ოსმალებისაგან, მარტო თითონ.

ათას ოთხას ორმოც და ცამეტსა წელსა, ღეპუმშემ-ში, მასმედმა შექრივა დიდი ჯარი და შემოადგა გარსა სტამბოლის ქალაქსა. მასმედმა გამოუცხადა თავის ჯა-რსა, რასაც იძოვნით სტამბოლში, როდესაც აიღებთ, ხულ თქუცი გაჩუქებთ. ამ დაპირებამა მალიან გაამსნე-ვა ჯარი და მზათ იუო უოველი კაცი, რომ სულთანის სურაილი და ბრძანება შეესრულებინა. მასმედმა აამენე-ბინა სის კოშკები, ქალაქის გალავანზე მაღლები, ჩუ-მად შეათხრეინა საღმები ციხის მირში, მიაზიდვინა გა-ლავანთან კედლის სანგრევი იარაღები, გააკეთებინა თხრილებზე მრავალი ხიდები, და საშინელი დიდი ხი-დი, — სიგრძით ორიათასი ნაბიჯი, შესაერთებელად უ-ბანთა: შერასი გალატასთან, რომ ქალაქსა აღარა ჭი-ნდეს ზღვასე მისაფალი გზა.

კონსტანტინე ყოფლის ღონისძიებითა ცვილობდა, ბრძოლითა დაუბრკოლებინა თსმალები და არ გაეცემები-ნებინა ხიდები და იარაღები; მაგრამ რას დააკლებდა მცირე და ომში გამოუდეველი ჯარი ბერძნისა საშინელ-სა ასმალის მსედრობასა, მაშინ როდესაც ერთს ბერ-ძენზე მოდიოდა ათასი თურქი. ბერძნებს ილაჯი გა-უწედათ, შევიდნენ ქალაქში და იქ გამავრდნენ. მთელს სტამბოლს შემოერტყა მტრის ჯარი. კეისარი კონსტა-ნტინე თავისის მეუღლითა, პატრიარქი და მრავალნი ხინებულნი მოქალაქეები ნიადაგ ეკვლესიაში იუნენ და ეკვდრებოდნენ დმერთსა შემწუობისათვეს მტრზედა, და-

დიოდინენ დიდებაზედა და სალეს ძალას ატანდნენ: ილო-
ცეთ და შეინანეთო. თთონ იმპერატორი ცხენით გარს
უვლიდა ქალაქსა და გალავანსა და ამსნევებდა თავის
ჯარსა. სადაცა გალავნის კედელი სუსტი იქ, იქ და-
აუნა დიდი ჯარი და დაადგმევინა მრავალი ზარბაზნები,
და ის ადგილებს შეა დააკიდებინა მრავალი ზარები,
ვინიცობაა გაუჭირდეთ, სადაც ზარი დარეკონ, იქ მიე-
შველოს ჯარი. თუმცა სტამბოლის გალავნის კედლები
მუდამ მაგრები იუვნენ, მაგრამ დაუდევნელობისა გამო
და დროსაგან, ომის დაწეების დროსა ბევრგან იქ მო-
მსადებული დასანგრევად. ეს იცოდა მახმედმაცა და ამი-
სთვის ძალას ატანდა იმ ადგილებში. თოთხმეტს თებე-
რვალსა თსმალებმა გააკეთეს სიდი და მეორეს დღეს და-
უწეს ზედ მისვლით აღება სტამბოლისა, ასე რომ
ოც და ათსა დღესა განუერელი ომი ჰქონდათ და არც
ერთს მინუტსა არ უსვენებდნენ ბერმნებსა, რომელნიცა
დიდის ვაჟაცობითა და გულადობითა უსვდებოდნენ თს-
მალებსა და არ ანებებდნენ არც ერთს მტკაველსა თავის
სატახტო ქალაქის გალავნისასა. მეთოთხმეტესა დღესა
ომის გათავებიდამა, თსმალებმა დაუკრეს ბუკი და მეო-
რეთ შემოურტენენ სტამბოლსა. დაუწეს ბერმნებსა გაუ-
წევატელი ზარბაზნისა და ისრის სროლა, იმსაირად,
რომ კომ კაცს ეპონებოდა ცეცხლის წვიმა მოდისო,
ამისგამო ბერმა ბერმენმა დაანება გალავანს თავი და
უსატონოდ გაუშეს, მაგრამ ბერმნებიც ხოცდნენ მრა-
ვალს თსმალებსა; რომელიც თსმალი აფიდოდა კედელ-

ზედა კიბითა, იმას ბერძნები მოჰკლამდნენ და თხრილა-
ში ჩაგდებდნენ კიბიანად. კონსტანტინე ცხენით დადი-
ოდა და ესვერებოდა ბერძნებსა, კარგად გაისარჯენით და
თქუცი ქუცეანა დაიფარეთო. ჭარის გასამსნევებლად
ომის დროსა, კეისარმა უბრძანა ზარის რეგა, რომელ-
საცა ბასუს აძლევდნენ ასმალებიცა ბუკებითა და სხურ
და სხურ საკრავებითა. ხმაურობა, ოხერა დაჭრილებისა
და მომაგუდავებისა და ხმა ზარბაზნის სროლისა, ერთად
შეერთებული, წარმოადგინდა საშინელსა სრიანცელსა და
კიუინასა, დაფარულსა კომლითა და ბურუსითა, სადაცა
კვდებოდნენ მრავალნი. ომი ჰქონდათ საღამომდინ, რო-
მლისა სიბნელემა გაჭეარა მეომარის მოსასვენებლად და
ზურის საჭმელად.

მეორეს დღესა კეისარმა კონსტანტინუმა ააკრევინა
დასოცილი ბერძნები დასამარსავად, დათვალეს და ათას
შვიდას ორმოცი კაცი მომეტებარიყო. ასმალები დასო-
ცილიევნენ თვრამეტი ათასამდისინ. ამისა შემდგომად
კოსტანტინემ დაათვარიყლა გალავნის კედლები და აი-
სოვიას ეპილესისში წავიდა, სადაცა იმან, ზარიარსმა
და დიდა კაცებმა შესწორეს მადლობა დმერთსა გამარ-
ჯებისა და შემწეობის მოცემისათვის მტერზედა. მეორე
უბრძანა რამდენსამე ბერძნებსა გალავანს გარეთ გასვლა
და დაწვა კედლის სანგრევის იარაღებისა და კიბეებისა;
დაწმუნებული იყო, რომ სულთანი რაკი ნასამს ბევრს
დასოცილს თავის ჭარის კაცსა და თარაღებისა კიბე-
ებიენად დაწვასა, მოშორდება სტამბოლსა. იარაღები და

კიბები დაწვეს ბერძნებმა, მაგრამ სულთანს ფიქრათაც არ მოჟვიდა სტამბოლის თავის დაწებება, რაკი ნახა მრავალი ჯარი დახოცილი და იარაღები, ასე მალიან გაცულისადა ბერძნებზედა, რომ შაშინვე უბრძანა ახლად გაპეტება იარაღებისა და ჯარის შემოდვომა ქალაქზედა. იცოდა კონსტანტინეპოლის თავისი უღონოობა და იმისთვის გაგზავნა ელჩები ვენეციაში და სხეული სახემწიფოებში, ჭი-თხოვა შევლა, მაგრამ, რადგანაც ზოგიერთს შევესა თითონ ჭიონდა სხვასთან ომი და ზოგს კავკი ჭიჭირდა ბერძნებისა, ამისთვის უარი შემოუთვალეს. შხოლოდ ღენუა რესტუბლიკის მთავარი ზუსტუნა, იტალიის ქუც-უნიდამ, მოქმედა თავისის ჯარითა კონსტანტინეპოლის. ზუსტუნას ჩააბარა კეიისარმა დასაფარზეად ის ადგილები, სადაცა უჭირდა და მიჰსცა ორი ათასი რჩეული ბერძენიცა. ამისა შემდგომად ბერძნებსა ბრძოლაში გველგან შელი მოქმართათ. სადაც კი ზუსტუნა იდგა თავის ჯა-რითა, ოსმალები დამარცხდნენ. დახოცილმა ოსმალებმა ამოამსეს ლომა თხრილები, რომელნცა იუვნინ გალა-ვანს ახლო. უეჭველად ბერძნები გარევდნენ ოსმალებსა სტამბოლიდამა, თუ რომ არ დაღამებულიყო.

მახმედმა უბრძანა გაკეთება მრავლის გედლის სან-გრევის იარაღებისა. როდესაც აშშადებდნენ იარაღებსა, მაშინ მოიტანეს ასმალებმა რამდენიმე ზარბაზნები, იმათში ერთა ორი, მალიან დიდი ზარბაზანი. აშშობენ, რომ ერთს ზარბაზანსა ჭიონდა ჩირი სიგანით ორი არმინი, და მეორესა იმოდენი, რომ კაცი ზეზელა გაი-

მართებოდა, როგორც დაუწეუს სროლა ზარბაზნისა და ცემა იარაღებისა, მაშინ გალავნის კედლები ჯერ დახდენენ, და მეომე სრულებით დაიქცნენ, თითქმის ცხრა აღლუშე. იმ ერთის დღის ომი ამითი გათავდა. ბერძნებმა, დაქცეულის ქვითების კედლების მავიერად, იმავე ღამეს გააკეთეს სის კედლები და გარეშემო შემოაეარეს მიწა. მეორეს დღესა თსმალებს ბრძოლაში კელი არ მოემართათ. თუმცა დიდს ზარბაზნებს ისროლენ, მაგრამ სრულებით ბერძნებს კერა ავნეს რა. მაშინ თსმალის სარდლების ბრძანებითა გატენეს მაღარან დიდი ზარბაზნი და ესროლეს ბერძნებსა, მაგრამ, რადგანაც მაღლა დაუნიშნეს, არა ავნორა გალავანსა; არცერ შეეხო ტუფია გალავნის ქონგურებსა, რომელიცა ჩავარდა შეა ქალაქი, და ზარალი არას მიჰყენა. მეორეთ, რომ მოამზადეს გასასროლად ის ზარბაზნი, იმ დროს ზუსტუნას ბრძანებითა ბერძნებმა გამოიისროლეს ზარბაზნები და სრულებით დაულენეს თსმალებსა დიდი ზარბაზნი.

მასმედმა, რომ გაიკო თავისი ჯარის დამარცხება და დიდის ზარბაზნის დამტვრევა ბერძნებისაგან, დაიფიცა, არ მოვშორდები სტამბოლსა, მანამდისინ არ ავიღებო და უბრძანა თავის ჯარსა, რაც შეიძლოთ, მაღიან გაისარჯენით და უთუოთ აიღეთ ქალაქი, რომლისათვისაც დაჭირდა საჩუქრებსა, ხალათებსა და დიდს ადგილებსა სარისსისასა. ამ სიტუაციით გამსნევებულმა თსმალის ჯარის კაცებმა მიიღეს კედლებზედ კიბეები, ავიდნენ და თამამად სოცება დაუწეუს კედლებზედ და გა-

ლაგნის ქონგურებზედ მდგრმთა ბერძენთა. მირიდამ თუ-
რქებმა დაუწეუს სროლა ისრებისა და ზარბაზნებისა, დიდ-
მალი. დიდხანს გავრმელდა ეს ფიცქელი ომი. კონს-
ტანტინე კეისარი და ზუსტუნა ამხნევებდნენ ბერძნის ჯა-
რისა. ბოლოს დროს კეისარმა ნახა, რომ უთუოთ აკო-
ბებდნენ ასმალები, დაარეკინა ზარები და შეკრიბა უ-
გელნი მოქალაქენი დასაცველდე სატახტო ქალაქისა. მაშინ
გაჟარდობა და შეუპოვრობა ბერძნებისა გასაოცებე-
ლი იქთ; დასოცეს ფრიად მოზვალნი ასმალები, იმ
დროს უსწრო დამება დამოლა დაიშალა. გააჩიერე
მგუდრები და ნახეს, რომ ბერძნია დასოცილი უ-
თი ათას შეიდასი კაცი, და თათრები დაეხოცნათ ოც და
თხეთმეტი ათასი მეტი კაცი. მაშინშე კეისარი, პატრი-
არტი დიდი კაცები შეიგარნენ ათასოვიას საუდაბში
და შექსწირეს მადლობა უფალსა ლმერთსა შეწევნისათვის
მტერზედა. ბრძოლაში დასოცილნი ჯარის კაცნი კეი-
სარმა დაამარტვინა დიდის პატივითა. მახმედმა თავისი-
მგუდრები არ დაამარტვინა; შედარეუინა ერთად და
წევინა სრულებით, ამას გარდა რომელნიც ვერ დაწეუს,
იმათი მმოვრი გადააურევინა შიგ ქალაქში, რომ სუნით
აუროლდეს სტამბოლი და გააჩინოს სნეულება და ჭირი,
მაგრამ მახმედმა ეს სურვილი ვერ აისრულა, ამისთვის
რომ კეისარმა მაშინვე გადმოაურევინა ისინი გალავანს
გარეთ, თათრების ბანაკში — სადგომში. განრისხებულმა
დამარცხებითა, მახმედმა უბრძანა თავის ჯარსა რეგას დღეს
მოუძორებელად ერმენით ბერძნებია. ამას გარდა უბრძანა

დამტვრეულის დიდის ზარბაზნის დაკერება, რომელიცა
ჭუსტუნამ გაუტეხა. ეტუობოდა, რომ მასმედი, იქამდი-
სინ არ გაბრუნდებოდა, მანამ არ აიღებდა სტამბოლსა.
ზუსტუნამ, როგორც ასრაანშა და გაცემა, გა-
იგო ეს განსრახვა მასმედისა და ამისუკს ურჩევდა კეი-
სარსა კონსტანტინესა მოშორდეს სტამბოლსა და ამით
მოარჩინოს თავისი თავი და ცოლშვილი უქცევლის სი-
პრედილისაგან, კონსტანტინემ უპასუხა, რომ წასვლა
სტამბოლიდამ იქნება უნამუსო გაქცევა და ამისთვის არ
დაუთანხმდა ზუსტუნასა. ამასობაში იმი გაცრმელდა და
ბერძნებმა ჩუმად გააკეთეს ნაღმები, მიმავალი ღრმა თხრი-
ლებიდამ, გალავანს ახლო; ოც და ხუთს დღეს იმედს
ბერძნებმა და თათრებმა, მაგრამ სამავალითო არა უქმ-
ნიათრა. ოც და მეტებს დღესა თათრებმა მაღაინ გატე-
ნეს დიდი ზარბაზნი და გალავანს ქსროლეს; წამალი
მეტი მოსვლოდათ და ამის გამო ზარბაზნი სულ დუ-
კმა ლუკმა და მტკურათ. საშინელად კავკაბდა ამაზედ
მასმედი, გამწურალმა უბრძანა ამომსები ღრმა თხრი-
ლებისა მიწით და გალავანს კარშემო ნაღმების გათხრა.
როდესაც თათრის ჯარის დასტა ამ ბრძანების ასასრუ-
ლებლად მივიდა იარაღებითა გალავანთან, იმ დროს
ბერძნები შევიდნენ მიწაში შეთხრილს ნაღმებში და მო-
უკიდეს ცეცხლი თოფის წამალსა და სხვა ასანთებს ნივ-
თებსა. ვინ არ იცის ესე, რომ ცეცხლის აღა აიტა-
ცებდა ჭაერში თათრებსა და მთლად იარაღებსა; იმავე
დროს, იმ ცეცხლს გადატენილი თათრები სრულებით

გასწევიტეს ბერძნებმა სასროლის იარაღებითა, მდუღარე წელითა და ანთებულის ნავთითა და გოგირდითა, რომელიცა ბერძნებმა გადმოაქარეს იმათ გალავნიდამა. ამ ამბავსა სულთანი მახმედი თავის თვალით უეურებდა; არ იცოდა რა უნდა ექნა. დიდის ჯაფრითა შეწეხებულმა, მახმედმა უბრძანა თავის ჯარსა უკან გამობრუნება; მამინ ბერძნებმა კიუინა დასცეს და მხიარულის პირითა გადაიხადეს გამარჯვების დღეობა.

შემდგომად დამარცხებისა, მახმედს უნდოდა დაბრუნება ოსმალში,—თავის ქულიანაში და სტამბოლის თავის დანებება, მაგრამ თითონ კონსტანტინე კეისარი იუო მიზეზი მახმედის სტამბოლში დადგომისა საბრძოლებად. ჰატრიარქისა და დიდის კაცების რჩევითა, კონსტანტინემ გაუგზავნა მოციქული მახმედსა შერიცებაზედ მოლაპარაკებისათვის, რადგანაც მალიან დაუმარცხდა კარი სტამბოლში და ეგონა კიდევა, რომ მეზობელნი მეუები მოშველებიან ბერძნებსა, მახმედი ააირებდა სტამბოლიდამ გაბრუნებასა; ეშინოდა, რომ სულ მთლად კარი არ გაწევიტონ ბერძნებმა. მაგრამ მახმედმა, რომ ნახა ელჩი ბერძნებისა, რომელიცა ჭისთხოვდა შერიცებასა, მიხედა ჭარითა, რომ ბერძნები მალიან გაჭირებულნი არიან. ამისთვის იმან უნასუხა ბერძნების მოციქულსა, მამინ შეურიცდები კონსტანტინესა, როდესაც დამემორჩილება და მეუმობა. კეისარმა რომ მოისმინა ეს ჰასუხი, მალიან შეწუხდა და შეინანა თხოვნა შერიცებისა; ევერებოდა დმერთსა შეწევნასა მტერზედა.

მასშედი იქნა, სტამბოლში, იდუა გალავანს ახლო; ბრძოლა იწყეს დ ბერმენი გულაბად უხვდებოდნენ თა-თრებისა, რომლებიცა იმ დროს ისროდნენ ახლად და-კრიულს, დიდს ზარბაზანსა. მაისის უქსესა მასშედმა მიიუვანა მთლად თავისი ლაშქარი სტამბოლის გალავა-ნსედ, დ თითქმის ფიქრობდა სტამბოლის აღებასა, მა-კრამ ვერ მოუხდა აღება. თათრებმა ოჯახლ ესროლეს დიდი ზარბაზანი დ დაანგრიეს გალავანი საკმაოდ დ ცდილობდნენ გამონვრუებული აღილებში შესვლასა ში-კნით, მაგრამ ბერმენებმა არ შეუშეს. იმ დამეს დაქცე-ულის კედლის მაგიერად, ბერმენებმა ააშენეს ძალითა დიდი ბურჯი. მეორეს დღეს თათრებმა დიდის ზარბა-ზნითა, რამდენსამე აღილებში, დააქციეს გალავანის კი-დელი დ ნაქცეცებში შეცვიდნენ რამდენიმე ათასი თუ-რები, მაშინ მოუხდათ საზარელი ბრძოლა დ ჩეხა ბერ-მენებსა დ თურქებსა. ნემენცის მთავარი ზუსტუნა მიეპე-ბა თათრებს წინა კარითა, წინ მოუსტოდა თავისებსა, დ ისრე ძალიანა ომობდა დ ხოცდა თათრებსა, რომ ზეინი დ ზეინი დააუენა. იმ დროს დაინახა ესე იანგი-ჩრების უფროსმა ამურადმა, ძალიან ღონიერმა, მაღა-ლმა, ზორბამ დ შეუბოგარმა კაცმა, მოუსდა კმლითა ზუსტუნასა დ ასეთი შემოჰკრა, რომ ზუსტუნა მიწა-ზედ გაართხო. გათამამებულსა ამურადსა უნდოდა მოე-კლა გამოჩენილი კმირი სტამბოლისა ზუსტუნა, მაგრამ ერთი ბერმენის კარის კაცი ემცერა ამურადსა დ ასეთი შემოჰკრა კმალი, რომ ლრივე ფეხები დააურევინა. რა-

ნახეს, თითქმის დამარცხება თავისი მხედრობისა, თა-
ორების დიდი სპასტეტი ფლაბორარ მუსტაფა და ამარ-
ბეგ ფაშა, საჩქაროდ მოქმედნენ თურქის ჯარსა თავი-
სის დასტებითა, მაშინ გამარჯვება გადავიდა თათრების
მხარეზედა, და თუ ბერძნის ჯარსა, იმ დროს, არ მო-
შევლებოდა სტრატიკი (მთავარმართებული ჯარისა) რა-
ბკაბი თავისის მხედრობითა, თურქები უთუოდ აიღებ-
დნენ სტამბოლსა. ომში გამოცდილმა რაკებმა, ძალიან
მოოს გარეჯა გალავნიდამ თათრები და ერთის ღონიე-
რის შემოკვრითა შეასედ გაჩეხა საცოდავი ამარბეგ ფაშა.
თათრები გამწარდნენ თავის სარდლის მოკვლისათვის,
შემოერტყნენ რაკებს გარშემო და ნაწილ-ნაწილად აგუ-
წეს; შეუტიქს ბერძნებია და ისევ სტამბოლში შერევეს.

დამის სიბნელეშ გაათავა ბრძოლა; იმ დამეს ბერ-
ძნებმა გამოქცეული გალავნის კედლები სულ გამოაშე-
ნეს და იმ ადგილებში დასდგეს მრავალი ზარბაზნები.
ეს არ იცოდნენ ოსმალებმა და მიშესცვივდნენ გალავანსა
შესასვლელზე, კონათ ისევ გამოქცეულს ადგილებში
შევალოთო, იმ დროს ბერძნებმა ერთბაშად მოშესცეს ზა-
რბაზნები და თან წააღებინეს თურქები რავდენიმე ათასი
გაცი. ამ საქმით გათამამებული ბერძნები გამოუცვივ-
დნენ გალავნიდამ თათრებსა, მოსდევდნენ ხოცითა და
თუ იმათ არ მოშევლებოდა თავის დასტითა, მოხერხვ-
ბული და გულადი ფლაბორარ მუსტაფა, ბერძნები უთუ-
ოდ დაამარცხებდნენ თათრის ჯარსა. ამან შეუტია ბე-
რძნებსა და ისევ გალავანს შიგნით შერევა. იმდროს კონ-

სტანტინე კეისარი აიასოფიას ტაძარში იუო დ რჩევა
ჰქონდა თავის ღიღყაცებთან ამაზედ: ჭიჯობს, რომ ერ-
თხელ გაუთაო ომი თურქებსა, ამ სახით, რომ უკანი-
დამ მოუვლი ჯარით, დავეცემი ზედა დ მალას დაგატან,
რომ სტამბოლიდამ წავიდნენ; მაგრამ უფრო ბევრინი
ღიღებულნი კაცნი არ დაუთანხმდნენ კეისარსა, ამისთა-
ნა ბედზედ შეგარდნილს გამბედაობაზე. ამ ლაპარაკში დ
რჩევაში, რომ იუგნენ, ერთი ბერძნის ჯარის კაცი შე-
გარდა ეკკლესიაში დ მოახსენა, ოსმალებმა გალავანი
აიღეს დ ბერძნებს ძალიან ხოცენ. კეისარი გამოიჭრა
საუდრიდამ დ მოეშველა გაჭირებაში მუოცს ბერძნებსა.
ოსმალები შეცვიდნენ სტამბოლში, დ გაახშირეს ქუჩე-
ბში ხოცვა დ ჟღეტა დ საშინლად შეაწუხეს ბერძნები.
ამ სანახავა კეისარსა თავს ზარი-დასკა თითონ მიი-
ღო სარდლობა დ მოთაობა ჯარისა, თავის ვაჟებულო-
ბითა დ შეუპოვრობითა, გაამსნევა ბერძნებიცა, შემოუ-
ტიქს რაც ძალა დ ღონე ჸქონდათ, თათრებსა დ გა-
ლავანს გარეთ ხოცვით გამორევეს; შეიმწუდის ვიწრო
აღგილებში დ ქუჩებში დ თითქმის თექვსმეტი ათასი
მეტი კაცი დასოცეს. ამ დამარცხებამა უფრო გააჯავრა
მახმედი დ არ დაამდაბლა. ამისგამო განიხრასა უთუოთ
აღება სტამბოლისა დ უბრძანა თავის მხედრობასა კი-
დევ საომრად მომზადება.

თერთმეტს მაისს, ღამე გამოჩნდა სტამბოლში, აი-
ასოფიას ეკკლესიის ასწავლივ გასაოცარი ნიშანი. უცემ
გამოჩნდა, შეაღამისას, საშინელი ნათელი, რომელმაცა

ბნელი დამე ღღეთ გადააქცია; ეგონებოდა კაცება მზე აძოვიდათ. ბერმებმა არ იცოდნენ ამ სინათლის მიზეული, ეგონათ ოსმალებმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდესო, ამისთვის დიდალი ხალხი შეიტარა საედართან. იმავე დოოს ნახეს, რომ ეპკლესიის ზევითი ფანჯრებიდამა გამოდიოდა ცეცხლის ალი, რომელიცა გარეშემო შემოერტყა საუღრის გუმბათსა და დიდხანს ერტყა გარეშემო. შერე ის ნათელი ავიდა მაღლა და გაჭირა დაში. ის ნიშანი იცნეს მთლად ბერმებმა მაღაიან ცუდს ნიშნად; ეს ამბავი მეორეს ღღეს კეისარს მოახსენეს, ჰაფრიათ-ხმა და დიდა კაცებმა ურჩიეს კონსტანტინესა წასვლა სტამბოლიდამ სადმე თავისის მეუღლითა და თავის მორჩენა სიგუდილისაგან, რომელსაცა მოელოდნენ უოველნი მოქალაქენი სტამბოლისანი. კონსტანტინე ვერას გზით ვერ დაიუღლიეს; მე ჩემს უმებს და სტამბოლის ქალაქს უჩატრონდ თავს ვერ დაგანებებ, ეტეოდა კეისარი, სიგუდილი მიოჩევნია იმათთან, უნამუსო გაქცევას კი არ ვიგადრებ. გამოჩენილმა საედარზედ ნიშანმა, ისრე შეაშინა სტამბოლის ხალხი და დაამაბუნა; რომ ისინი საომარს იარაღს კელში ვეღარ იმაგრებდნენ. მოწეუნილსა და დაონებულსა ხალხსა, ჰაფრიათ-ხმა არწმუნა, რომ ის ნიშანი ღუთის მფარველობასა და შემწეობასა ჭინიშნავსო. ბრძანა და ნიაზაგ დიდებაზედ დადიოდნენ გალავანს გარეშემო ბერმები, თუო ჰაფრიათ-ხმი და უოველი სამღუდელო და საბერო კრებული, დან დაჭირნდათ ცხოველსმუოფელი ჯვარი ქრისტესი.

ოც დ' ექვსს მაისსა, მახმედი დიდი თავიამომეტე
ბული შემოადგა გარშემო სტამბოლის გალავანსა. სა-
შინელი, ურიცხვი ჯარი რომელიცა იმას ჟევანდა იქა,
გაჭეო რამდენსამე დასტებად დ' ჩააბარა გამორჩეულს
ქარგს სარდლებსა, რომელიცა დააუქა თავის აღა-
პს, ქალაქს გარეშემო დ' თითონაც იმათთან დაჭიდება.
გალავანზე მისვლა დაიწეს ოსმალებმა მრავალის ზარ-
ბაზნის სროლითა, რომლითაცა კედლები კინაღამ და-
აქციეს; მერმე დაიწეს კიბეებით ასვლა ზედ კედლებზე-
და დ' სოცდნენ იქ მდგომს ბერმებსა. ასე მაღიან შე-
აწესეს ბერმები, რომ თუ მაშინ კონსტანტინე გეისარი
იქ არა ეოფილიყო, უთუოთ გასწევეტდნენ ოსმალები
ბერმებსა დ' ააოხრებდნენ ქალაქსა.

მეორეს დღესა ოსმალებმა ესროლეს გალავანსა
რამდენიმე სროლა ზარბაზანი დ' სამკერ ესროლეს მა-
ლიან დიდი ზარბაზანიცა, რომელმაცა დააქცია სრულე-
ბით გალავანის კოშკი. იმ დამეს ზუსტუნა აშენებინებდა
დაქცეულის ბურჯის მავიერად ახალს კოშკსა, იმ დროს
ოსმალებმა დაუნიშნეს იმას ზარბაზანი, რომლისაცა
ქარმა წააქცია ზუსტუნა დ' ვერა ავნორა, მაგრამ ბერ-
მებმა მაინც ააშენეს კოშკი. ამაზედ მახმედი მაღიან
გაშვიოთდა, დ' უბრძანა თავის რჩეულს კარსა საჩქაროდ
დაქცევა იმ კოშკისა. ოსმალები მიედიდნენ დ' მრავალი
ბერძენი დახოცეს, მაგრამ ბერმებმა გამორჩეს. ისინი
უკანვე, ამ ომში, სტამბოლის გამოჩენილი გმირი ზუ-
სტუნა, ოსმალებმა მოყლეს ზარბაზნის ტევითა. რო-

დურაც თათრების გადეს სუსტუნას სიცემილი, დიდის გრძელებით დაჭრიუნან ბურმესხა, დაჭივლები: „სწორია გამარჯვება!“ და გადავის შიგნით შერტყებ ბურმესხი; იმ დროს მოქაწორო ჟისარი და ისე მაღაიან ინტერდა; რომ ასმალები უკან გამოაბრუნა. ბურმესხის შეიძლების თურქები ქალაქის ვიწრო ქუჩებში და იმთველი დატოვეს, რომ დასოცილები აღარ ეტეოდნენ ადგილზედა. ამ გამარჯვების უკან კეისარი შიგიდა ათასთვიას უკლესიაში და ღმერთს მაღლობა შექსწირა შემწეობის მოცემისათვის მტკრზედ; ეკრნა, რომ სრულებით დამარცხებული მანებელი უთუთ გაბრუნდებოდა სტამბოლიდამა და თავის ქუცეანაში წავიდოდა.

შემდეომად თათრების დამარცხებისა, იმ დამექ მოხად საკურეული რემ გამოჩინება, რომელიცა მოასწავებდა სტამბოლის მაღა დაღუპვასა და წასვენასა, ცაში გამოჩნდა შევი დორუბელი და საშინლათ დაბნელდა; დრუბლიდამ ცეითდა დიდობი, ქათმის კვერცხისოდენა, წითელი ცეარი, შესავსი სისხლისა. უგელანი მიხვდნენ, რომ ამ გეარი წვიმა უბედურობას ნიშნავდა. ბურმესხი მაღაიან შემანდნენ და დაფიქრებულები დადიოდნენ სტამბოლში, ამ იცოდნენ, რა უნდა ექმნათ. პატრიარქია პირები გამოვა გამედა და ურჩია კონსტანტინეს სტამბოლიდამ ვასვლა და ამით მორჩინა თავისა სიცემილისაგან. მავრამ პატრიარქია ურ დაიკლია კეისარი, რომელმაცა აირჩია სიცემილი თავის ემებთანა. როდესაც მასმებელი შეჰქარა თავისი პრინცი კაცები და ჟითსა მნიშვნელობა

სტამბოლში გამოჩენილის სიცოცხის სასახლეისა, მაშინ
იმათ მოახსენეს, რომ სტამბოლის ქალაქის დაქცევას
მოასწავებოთ, რომლისათვისც მასმედმა უნდა მოიხმა-
როს კოველი მაღარი, რომ აიღოს და დაიმორჩილოს
ქალაქი. მოისმინა რა მასმედმა ბასუხი სტავლულის კა-
ცებისა, დიდი მოიმედე გამარჯვებისა, მოუხტა სტამბო-
ლისა ურიცხვის ჯარითა. ოსმალებმა კოველის ადგი-
ლებიდამ გააქციეს ბერძნული და ქალაქში შევარღნას ჩა-
რებულენს, იმ დროს კონსტანტინე კეისარი მიეშველა
თავის ჯარისა. დაინახა რა კეისარი გულადმა და ღო-
ნიერმა ოსმალის სარდალმა ფლაბურარ ფაშამ, რომ
ომობდა, საჩქაროდ მოუხდა, შემოჯერა ქმალი და ცხენ-
იდამ ხამოავდო. სისხლში მოხვრილი კონსტანტინე
კეისარი მოუხდა მუსტაფასა მოსაკლავაზ, მაურამ ღონე
აღარა ჰქონდა. მუსტაფამ ამოამრო მოკლულის ბერძნის
გულიდამა შები და დაჭიცა მკერდში კეისარისა. მაურამ
იმშრატორი კონსტანტინე, თუმცა მაღიან მმიმედ და-
ჭირილი იყო, მაინც არ დაკარგა გულადობა და ღონე,
ამოიმრო შები დაჭირილის ადგილიდამა და ასეთი აძ-
ცერა ეელში მუსტაფა ფლაბურარისა, რომ მაშინვე სუ-
ლი გააერევინა. ეს რომ გაიცა მასმედმა, მაშინვე მოე-
ლი დასტა და ზარბაზნები გაატანა ბალოუალი ფაშასა
და უმრმანა: ან უთუოთ მოკალით კონსტანტინე კეისარი,
ან ცოცხალი მაშვარეთ, დატევებული.

ბალონუსლი ფაშა იბრძოდა რეგისტაცია, შევიდა ქა-
ლაქმი მაღით ჭ იქ სისხლის რეესტრაცია ადრინა ბერძნებისა,

იმ დროს კუისარი წავიდა ომიდამ თავის სასახლეში, სადაც მიუიღეს კუისრის ქარ გუმანი და ჭირი სტამბოლიდამ გასვლა და მომორქია, ამისთვის რომ მასმედი გემებს შენ მოსაკლავთა; მაგრამ კუისარი არ დაჭირა ნებასა, უთხრა, გადით და ქალაქს მიესველეთო. რამდენად საათს უკან კუისარის მოახსენეს, რომ ოსმალებმა თითქმის სტამბოლი აიღესთ. მაშინ კონსტანტინე საჩქაროდ წავიდა აიასოფიას ეკკლესიაში; აღსარება ჭირქება, ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა, გამოესალმა ცოლსა, სახლობასა, ჩატრიარება და უოველს კაცსა, გინცეკი იქ იუგნენ, გამოვარდა საედრიდამ და შევარდა თურქების ჯარში, რიცხვით სამი ათას კაცში, რომელიც ემებდნენ კუისარსა მოსაკლავად. კუისარი კონსტანტინე, თუმცა ებრძოდა თურქებსა ვაშაცურად და საჯელოენდა, მაგრამ თურქებმა მძიმედ დაჭირდეს და მოჭილეს იყო. მაშინ, ფიცხლავ დაიჭირეს ოსმალებმა სტამბოლის ქალაქიდა.

ოსმალებმა დაიწეუს საშინელი აოხრება სტამბოლისა. მპლესიები დააქციეს, მღუდლებსა და ბერებსა ათოვერნენ ქალაქში, უაზტრონოდ; კეთილშემატილთა ცოლები და ქალები გააუსატიურეს და ტანჯეით დახოცეს. ამის გამო არ უნდოდათ ბერმებსა ცოცხალი დანებებოდნენ თათრებსა, და ამისთვის ქირზოდნენ იმათ; ეოვლის დონით ცდილობდნენ იმათს გაშევტისა და მრავალიც დახოცეს. ბერმები იმალებოდნენ დასმალავს, მაგარს აღვილებში, და იქიდამ სან და სან გამოდიოდნენ და სო-

ცდნენ თურქებსა, სოგს იარღითა, ზოგს მაღლიდაშ დაუთხრებულის მუღუმითა და ზოგს უკიდან ასხამდენენ მუდრარებს ნაფოსა და წეადსა.

სულთან მამედი მალიან გახარებული იყო, რომ გამოსარვება და სტამბოლი დაიმორჩილდა, არ უთხა ამ მოულოდა ბერმებისაგან ამთდეს წინადმდევობასა, შემდეობად სტამბოლის აღმართა, ამისთვის დიდად გაუკაირდა იმათი ურჩობა. ეჭვი შეთხედ: იქმნება კონსტანტინე კეისარი ისკვეციალი იუსტის და ის აშენებებებს და ათმებდეს ბერმებსა. სტამბოლში ამჟენინებდა კეისარის თავის ერთგულს კაცებსა, მაურამ იმისი მემსა ტეუილიდა იყო. ამისა შემდგომად მასმედია დაიბარა რეტრენტის დიდი კაცები და გამოთუცხადა იმათ, რომ შალე დამემორჩილებით, თუ არა, სულ ერთიანად გრძელებამთ. ბერმის მთავრები და უფროსნი კაცი შეიურნენ სტამბოლში და ურჩიეს თავის მერჯულებებსა და მოქალაქეებსა დამონება სულთანისა და იმათან მტკობისა გათავება, რომლისათვისცა მიიღებენ მასმედისაგან სისუქრიდ სიცოცხლესა. ილავ გაწევეტილია ბერმებისა სისარულით მოისმინეს რევება თავის წინამდებრებისა და დაქმორჩილნენ სულთანსა (სონთქარსა ანუ გვერდიწილება).

მერმე სონთქარი მოემზადა სტამბოლში შესასკვლელად, დიდის დიდებითა და ამბავითა. პატრიარქი, უფელნი დიდი კაცი საბერმეთისანი და სტამბოლის მოქალაქები იდგნენ აიასთავის გეპლეისასთან და მიუღოდნენ სულთანსა. მასმედი მიუღოდ ცეკვა და ცხენ ბერმე-

ბთან ასლო, ანატოლი იმათ დანაშაული მცირდება და გამოუცხადა თავისი წეალობა და შეციცება იმათან. ჩამოსტა ცხენიდამ, შევიდა კულესიაში, დათვარიელა შეინიდამ და იქიდამ გამოსული, მივიდა და ნახა მეფის ჩალატი (სასახლე); ევონა, რომ იქ უთუთ ნახამდა კონსტანტინე კეისრის ცოლ-შვილსა, რომელიც კეი-სარმა ადრევე გაისტუმრა იტალიძში, სომხლდებითა, ზუსტუნას ნათესავებთან.

ამნაირად დაიმორჩილა მასმედ მეორემა, თურქების სულთანმა, ღიღებული და სინებული აღმოსავლეთის ქალაქი სტამბოლი, და იმასთან მრთელი საბერძნების საველმწიფო, აიღო რა ტრაპიზონიცა, წელსა (1461) ათას თოსას სამოც და ერთსა და დააქცია სამირულინად აფმოსავლეთის იმპერია ბერძნისა, რომელსაცა თავიანთს ენასედ დაარქევს თურქეთი (ტურცია) ანუ ოსმალო, — ოსმალის საჟმენტიფო, უფალმა ღმერთმა, მართალმა და სულტანმელმა, დიდხანს უომანა ბერძნებსა, ბოლოს დორს კი ასრუ დასავა აშარტავინებისა და უსაფულოებისათვის მათისა. ეს მოთხოვთა, დაბალს ენასედ, ადვილ გასაგონად, შევადგინე საბერძნეთისა და სასოგადო ისტორიებიდმა, გასამდიდრებელად ქართულ-ლების ბიბლეოლებისა (წიგნთ საცავისა).

ალექსანდრე გარსევანოვი.

6. დღის მურა.

ალბომთ ვინცა შენა კმულობს ნატრიან სხვაც მას
მფლობდეს,
როს შენიერმა ჟღვა გირებას სთხოვე მეც მომიღონე-
ბდეს,
მას ტურფას ესრუთ უჭირებენ ვით წალკოტს აღვავე-
ბულსა,
შიგან მდგომს ვარდსა სუმბულით შაშახთან შეერთებუ-
ლსა,
მის გარეშემო მფრინველნი სხშა დ სხშა შემოკრძებიან,
რადონი დ ბულბული ერთმანეთს ეცილებიან,
ქსრეთსა შენიერებას დ საოცარსა ქმნელებას,
ვინ არა ეტრფის არ ჭირვებს მის შორის მრავალს
სრულებას;
მუცა ამისთვის მოვსულვარ შენზედ მის ქება დაუსწერო,
ბედნიერების ჩანგზედან ეს სემი გრძნობა დაგმდერო,
მავრენმ მეც ამა შრომისთვის მსურს ვიუო მისგან სსო-
გილი, გილი ჩემგან წერა ისურვა დ ვისგანც იყო თხოვდელი.

յև Տօսէմթահա Շահումյան գրացք տշտ Այնուա Թզլու-
ծյլսա,
Հաճախուր մռաւուր զին քարտահանուր ճպարական տշտա
մբնածյլսա,
յև Անդաշյան մամոն Հանուրաս, Հայունագ Կյանուր մռաւու-
ծա,
Կարնարս, Շահնայրս, Կմենչակ Ըստրուս Բմոնդասա Խյլսա.

Ճ. Ռժամ. Սրբաւուրացաւս.

ქალაქის მდინარე.

ქალაქი ტური, დიდხანს იმეობებოდა უთხებსა
მაკავარის ქუჩის რომელისამე სქმარისა, წემსეის პროცეს-
რორისასა, რომელიც იყო გაცი უკანონო, ქცევაშვილ-
ული, შობითგან სიბირეთა შინა შთაფლული, უღელ-
თა უწევბათა შინა მოუღრული, მმრახავი და საშიშარი.
გაცი ესე შობილი ბუშარის გუნმუჯლასა შინა, იყო მე-
ნიდგან განდევნილ მცხოვრებთა მიერ, რომელნიცა მოთ-
ლად ქმა-უუობელ-იუნენ მისვან. მენომალდეთა ამა ქა-
ლაქისათა, შეიწერებულთა მის შემცირებულთა მიერ გან-
კუთილ-საჯეს ოდესმე დახსნად მისვან მოქალაქენი
თვისი, და მიძართეს იგი სიღრმესა შინა ზღვისასა შთა-
ნაქმად უღელთა გარდამავალობათა და ბოროტ-მოქმე-
დებათათვს მისასლეველად; არამედ ამან შეურაცხემან
თესლმან განდევნა თვისვან წარწემდა ესე ცურვათა, და
შავშენა ქალაქსა ტურისა შინა დასხმასა 1792 წელსა;
იგი მას შინა რომელსემე დროსა ადსრულებდა თანა-
მდებობასა სტრიაფჩიბისას. ურცხემან სეინდისმან ში-
სმან მოითვა თვისდა საზოგადო შურისგება, სოლო შე-

მთხვევმან განსუთქილებისამან, მსწრაფლ მოუვლინა მას შიხესი გამოჩენად თავისა თვისა; დასასრულ, განრევ-ნილთა ლონისძიებათა მიერ მიახწია მან თემის მთავ-რობისა წოდებასა.

მაშინ ჰერმეს მცხოვრებთა ტურისათა ეოველი და-ტემირულება შეკაცრისა მის შემცირვებისა, დ ეოველი ემორჩილებოდიან რეინისა მის უღელისა. დუმილმან ჰა-ტიოსანთა ქაცთა მან განამნევა უჭიშველოება, ასე უმჯობეს არს იქმად, აწარმოვა თრთოლა. არა დიდმან გუნდმან უკეთურთაგასმან, დასვენებასა ქუცშე წითლისა ქუდისასა, სენარისა თვედა წინამმდვრად მქონებელმან, მსწრაფლად წარტყმება ეოველი მფლობელობა სასამა-რთლოთ. სახესა ძვეშე თავისუფლობისასა, ამა უსწეუ-ლოთა უმართვედ მითურება ნება სიექტერებდ თვისთა მსგავსთა; მიზესა ქუცშე სიექტარულისასა მამულისასა მამულისადმი, ჭიბულების დაუსჯელად მკამულეობ თვეთა, დ ჭიშამან მათმან, სისხლითა განჭერუენა ეო-ველთა უონებანი, მოწიწება დ შიში სათდამი შეერთა დაუვონებულად. მამა თითქმის შვილზე ეჭობდა, დ მმა ღუიძლესა დასა თვისსა ხედა. თანა შემწეობითა შერეუ-ლოთა ლაშარაკთათა, სათნოებანი, თავისუფლობანი დ მოქალაქებანი, არა დიდთა რიცხვთა მეშვითართა მო-დრიკეს სიმპაზულესა შინა ათასეულთა კაცთანი, რომე-ლითა ერთობრივა ნებასა, ძალ-ეფუძმეცა წარწემუნდა მათ ეოველთა.

ეს ვითარი იერ მდებარეობა ტურის სამოქალა-

ქოთა; რაღვანც შინაურთა საქმეთა გამო იმულებულ-
გიავ წასკლად ამა ქადაქსა შინა; რომლისამე დრო-
დებან ვცხოვრებდი მე ჩამონახდომეუსა ადგილსა თვისსა
არა უძორეს მისაან, სადაცა გჭირებულდი სრულიადითა
ყოთილ-დღეობითა უსაუტარელესის მეუღლითურთ; — ეს-
რედ ენება განსჯასა ვამორჩევა ჩემი, რომ დამალესის
ჩემზედა მახვილი თვისი, და ძლივდა თითქმის განვლო
თვემან ეჭვმან შემდეგ ჩემის ქორწინებისა, რომელ უ-
ბედურმან ბედმან ჩემშან მომსახურ მშეიდობიანნი დღენი
ცხოვრებისა ჩემისანი.

არა მსედველსა საჭიროებისასა ცხოვრებად სან-
კრებული ტურსა შინა, არა მწადოდა მე ქირით შოგნა
სახლისა, და დავდექ დიღს უბანსა შინა ტრახტირში,
არა მფიქრებული, რომელ წოდება უცხო-მკრობისა, მე-
ქმნება მიზეზ ჩემის წარწეუმენდისა. მრთლათ ჩემი ამაღა
მდგომარეობდა ერთს ჩემდა ფრიად ერთგულს მოსამსა-
სურება შინა, რომელიცა გაისარდა სახლსა შინა მძი-
ხემისასა; აღსრდა მისი იქო სასიამოწოდო, და ზირადნი
ბუნებანი, და ჩემდა ქვემე-ვრდომილება, ჰეროდენ მას ჩე-
მთვას უფასოდ, — და მე სიერმითვან მას გექვეოდი უმე-
ტეს ვითარცა მეცობარსა, ვიდრედა მოსამსახურესა. კი-
თილი კაცი ესე დილასა ერთსა შემოფიდა ჩემს ოთა-
სში, გაძაღვისა მე მჩვენებელმა ძლიერს გულის-ძვერი-
დამ, რომლისამე — ამასწინათ სალსში ჩემზე ლაპარა-
კისაგამო. „გელმწიფელ ჩემო! მრქვა მან სახითა მოში-
„შოთი, რომლისაცა უერ ძალ-ეღვა დაფარებად, გუცხო-

„ბით თქუცნ, რათამცა მესილვა ცხოვრება თქუცნი, აქა-
„ურობისა მოშორებით; თქუცნ უწეით, რომელ ბორო-
„ტთა კაცთაგან, კეთილისა მოლოდებად არა სათანადო-
„არს; და მე რაოდენიმე ხანია ვარ ფრიად მოუსვენებ-
„ლობასა შინა. თუთ ამა მინუტსა ზემსკის ჩროვერორი
„წინამძღვლი გუნდთა უკეთურთა, თანა-მოხიარეთა მას
„ბოროტ-მოქმედებათა შინა, ჰყალს უბნებად, და ჰყრებს
„საპერობილებთა ქვეშ უოველთა, მათ, ვისაც მხოლოდ
„აქეს სახე ზატიოსანისა კაცისა. იგი იქმს უმეტესად
„თანა-მეოლად მექონი თქსთანათა ამხანავებისა დასა-
„მსობელად განსვენებისა მშვიდთა მოქალაქეთასა. სახე-
„სა ქვეშ შინაურის მიწერ-მოწერილობისა შედის სა-
„ხლებსა შინა, და ესე უმსგავსი კაცი საკუთრითა თუ-
„სითა ნება-მუოფელობითა და მფლობელობითა, უბრძა-
„ნებს განუჩევლად, წასხმად საპერობილება ქვეშ, ნა-
„თესავთა, მევობართა, მტერთა თუსთა, მოსამსახურეთა
„ტაქრისათა, აზნაურთა, მდიდართა, უცხო მსრელთა;
„ერთის სიტუაცით, მათ უოველთა, რომელნიცა სისხლ-
„მწეურვალებითა ანუ შურის-გებითა მისითა დანიშნულ-
„არიან, და რომელნიცა უოველნი განუსჯელად მიუვა-
„ნილ არიან მსხვერპლ-სამწირველოდ მისის სისხლ-
„მწეურვალებისა. ესე ჯერეთ არა უოველია, განაურმე-
„ლა ანტონიმ, ესე განცოფილებანი არიან თუთ უმცი-
„რესი ნაწილი მისის ბოროტ- მოქმედებისა. კაცის
„მჭამელი ესე განჭერვებული სისხლითა და მტაცებლო-
„ბათა მიერ, თავმხედობს დადებად ჭრავოს, მათ ზედა,

„რომელნიცა ილტვიან მისის ცოფისნობისაგან, იგი „იძღობს მწულვალეობასა, ცრემლითა მიერ უბედურთა „დედათასა, რომელთაცა ქმარ, მამა, მენი წარუცხავნია „მის უსჯულოებასა წარწეუმედად; უოველნი მცხოვრებნი „ამა ქალაქისანი მოღრეკილ-არიან უთნებასა უღელსა „ქვეშე მისსა; არცა ერთი ვერ შემძლებელობს კაცობისა „გამოჩენას, შეზღუდვად მისის ბოროტისა. მომისმინეთ, „მე, განვშორდეთ მსწრაფლ აქედგან; სახლი ესე უეჭვე- „ლად ვერ განელტვის მისსა დევნულებასა,—იგი ცნო „ბილ-არს მოსულთა უცხო მკრიელთათვს, და თქუცინ „აქა უშიშრად უოფად ვერ მალეიმს. დაბრუნდით თქუცი- „ნს მეუღლესთან, უცნობელობით მოიპოებთ თქუცინ „დავარევასა მჭიდროებათგან; კიუთა შინა მეტობრობა- „თათა შესაძლებელ-არს მოგება საჭურველსა პირის-ზი- „რს უსკაცობისა.“

მე დაუმადლე მონასა ჩემსა მისის ოჩევისათვეს; არამედ განუხილავად არ მოგიწადინე მის მიერ სარგე- ბლობა; მოუწერდი მას განუზომელსა ერთგულებასა მი- სია, რომელიცა უეჭველად განადიდებდა შიშსა თვალთა მორის მისთა.—დაშვიდდი, საუკარელო ჩემი ანტონი! უბასუსე მე სუინიდისი ჩემი უბიწო არს, და მოულოდი- ნებულ შიშისა.

ანტონიმ დამიტევა მე თავის გაქნევითა, ვითამც მოცემად ჩემდა გრძნობისა, რომელ არა უთვლითურთ იურ ჩემის აზრისა. იგი უსარტებლოდ მაისულებდა მე დატევებად საშიშარისა მის ადგილისა, საღაცა ჩუცინ

უმეოფებოდით; ამაռდ მამსილებდა იურ საკონტაქტოსა წინასწარისა უბედურებისასა; მე ურღვევდი მას ჩემითა უბრალოებითა, და ვერინააღმდეგებოდი კეთილსა რჩევასა სარწმუნოს მოსამსახურისა ჩემისასა; — და გამეოლი მისი, რაოდენთა განვევლტოდი სიმწარეთა და უბედურებათა!

მართვად, მეორესავეს დღესა ამა უწევბისასა, რაოდენიმე შეჭრვილი კაცნი შემოვიდნენ ჩემს ოთახსა შინა, და დამატუსაღეს მე საყელითა ჭიჭულისათა; — სარწმუნოებისა დამარღვევლმან სენარძან, წინამსრბოლმან უპეტურებათაძან, გამომიცხადა მე, რომელ მე განკილულ-ვარ საეჭველად და ვიტუსაღები გასაფრთხილებელი. მასვე უამს შეუღა გამომიებასა, და დამიბეჭდა ერველი ჩემი ქაღალდები, გადამრჩეველმა ცალკედ ეოგელთა მათ, რომელთაცა კი ჭიჭუბდა ჩემს ბრალ-შესაწამებელად. ამას დღესა შინა, შინაურს დავთარსა შინა ჩემსა მაქტნდა მე წერილი ჩემის მეუღლის ნათესავისაგან, სენტ-დომინის გუნძულიდგან, რომელსა შინა მაუწევდა მე იურ ეოგელსა უბედურებასა, შემთხვევულსა მას მსარესა შინა; გუნა განვრცელებული აღწერა ეოგელთა გარდანასედოა, რომელნიცა მუნ ერთი მეორის შემდგომ მომსდარიეთ; უმეტეს ეოვლისა ჩიოდა უზომოებასა დაქცევასა სედა ნაზოქმედებსა მდაბალთა სალსთა მიერ. ერთი მხოლოდ წიგნი ესე კმასაყოფელ-იურ მაშინ, რომე ბრალეულ-ვეუავ მე მუსანათად მშართებლობისა. მაქტნდა მე იაუზნდისა ბეჭდი გამოგვეთილის მას სედა ქაღის სახისა, მაშინვე ცრუ-მწვალებელმან

სენარ განვებით, ვითამც დაჭისასა შახუ მიმსუბუქება
კოროლის მეუღლისა, წარმტაცა თვისდა ბეჭედი იყო,
და მე შეპერობილ-მქმნა საქალაქოსა ხაროსა შინა.

გეთილ-სულოვანი ანტონ, იეო თანადამსწრე ამა
გარდასდომილებასა და ბირველიდგან ძლიერ შეიგავ თავი,
ხოლო სიცრუისაგამო ამა ბეჭედის დაწამებისა, გამოა-
ცხად ეოველი თვისი სიახნესლე, და არა მქონებულმა
მალისამ წინააღმდეგომად მოქმედებათა მისთა, რეჯა მას:
„უფალო სუდიავ! ვეჭობ თქუცნდა არ იეოს ტკირო
„მმიმე, აღწერად ეოველთა ქონებათა; ვინადგუან დამფუ-
„მვნელობით ჭმართავთ თანამდებობასა თქვენსა, და უმე-
„ტეს მით, რომე არა იზიანებთ თავსა და მოიღებთ
„წინათვე შრომისათვის კილდოთა; მე ვსასოებ კიდეც
„რომ კმარივილებით მოიწადინებდითმცა ხშირად შე-
„ხვედრისა მსგავსთა არისტოკრატთათა. ვითარ! — კვალად
„ჰერქებ მას „თქუცნ უწადებ უცხო მსრისად მშვიდო-
„ბიანსა მოქალაქესა, რომელიცა შობილ-არს შინაგან
„ბჭეთა თქუცნის ქალაქისათა, და რომელიცა განსჯას
„გარდაუსასლებია სხეუსა მკარესა შინა! თქუცნ ჸორნე-
„ბთ იეოს ივი მოდალატე, მისთვის, რომე ივი არა
„თანა-მოზიარობს თქუცნსა შეერილობასა; ანუ შის-
„თვის, რომელ ასრი მისი თქუცნ არა უწეით! საქალა-
„არს ეოფა ამა სისწორისა, რომელსაცა თქუცნ აწ
„გამოვიქებთ ჩეცნ? სადა-არს წესი მის მმობის მეგო-
„ბობისა, რომელისაცა თქუცნ თითქმის საქელსაცა აუ-
„წმინდურებთ? არა თქუცნ ხართა ბირველი მისნი და-

„მარღვეველნი? არა თქუცწნ დაბდეინეთა განუოფილება „კაცთა შორის, რომელიცა გულითა წმიდითა ეურძნო „ბოდენ მამულსა თვისსა, და რომელიცა წაბილწეთ თქ „შუცწნ თვით მნებებლობითითა მოქენეობითა? არა თქუცწნ „მხოლოდ თანამდებ-ხართა ბრალეულ-ეოფისა, აღურა „ცხელთა უბედურებათათვს, რომელსა ქუცწე დიდი ხა „ნია უბედური მხარე ესე ირევის? თქუცწნ უბნობთ უ „კეთურობისათვს! გინ უმეტეს ბრალეულ-არს? განა იგი, „რომელიცა იცავს თვის შორის მარადის სიმართლესა, „ანუ თუ რომელიცა სიცოფითა თვისითა წარსტყევნის „უბრალოთა ცხოვრებასა და მოაშრეტს სინათლესა გან „სვენებლობისასა? თვით შენ უსმარო, თვით შენ შეურა „ცხო მატლო! რომლისაცა შეუროლებულნი ბაგენი „მარად-დღის განაწილებენ სათნოებასა და კაცთ მოუქა „რეობასა! რაოდენნი მსხვერპლნი სისხლ-მწეურებლო „ბასა შენსა მიუვლენია უფსკრულსა? მხოლოდ აქაურსა „ერთსა სასოგადოებასა შინა, რაოდენნი ბატივ-ცემულნი „სახლნი დაშსობილ-არიან შენ მიერ და მოშრეტილ „მთავართა ანუ მფარეველთა თვისთა? — რაოდენნი მშვი „დნი მოქალაქენი სიმსეცესა შენსა განუმგზავრება სა „სჯელად? ერთის სიტვეით, რაოდენნი უბრალონი, და „უცხრომელსა ბრძხიანობასა შენსა განუსჯია წარწემე „დად? მარტენ! მიმასუხევ!“

ანგონიმ წარმოსთქუა სიტეტანი ესე, ესეთითა სიცხარითა, რომელ სისხლ-მსმელი სენარ თვით მოვიდა დაუიქრებასა შინა გამოხატვად სათანადო არს, რომელ

მას არ მიუტევებდა პატიოს ამოუერელად. მართლად, ლაპარაგმა მოსამსახურისა ჩემისამ, შესფა თვთვე საპერობილებდ; და ჩეცნ თონივე გასტუმრებულ-ვიქმენით სხვა და სხვა საერთაულოში.

დღესა მასვე შინა ჩემის შეჯრობისასა, მივწერე მე შეუღლესა ჩემსა, რათამცა შეუწებინა იგი ჩემის უბე-დურებისათვს, და ვქმენ ეს ყოვლის შესაძლებელის ვა-ურთხილებითა, რათა არა შემეძინებინა იგი. ვანუზო-შელი კომისარი მისი საცნაურ-იურ ჩემთვს, ხოლო სი-ექსარული ჩემდამო უკველად იქმნებოდამცა შერეულ. სხვები მდგომარეობა რომელსაცა შინა იურ ისი, თხო-ულობდა სიურთხილეს.— ბდელადა ატარებდა შეცელეს შინა თვისსა ნაყოფსა სიუფარელისა ჩეცნისასა, იურ თოსულ ექტესის თვისა, ხოლო შიშის რომელიცა მე გამომეხატებოდა, იქნება ეწარმოებინაცა ვითარიმე უბე-დური შემთხვევა; მაინც კი მიწერასა ჩემსა იქნება იგი დაუცა წარწემედად. არა მოწეველი არა ვისთანა, არამედ შემდგომი მსოფლიო ნახისა სიუფარელისა ჩემდამო თვ-სისა, შეუძინებელი ესე მეუღლე გამომუსვარდა ტურასა შინა, და ესრულ ემსწრავდა, რომელ მოვიდა ქალაქსა მას, თვთ მასვე ღამესა შინა. მაძინვე მოუხდა სენარს; არამედ უთხრეს მას, რომელ იგი არარის შინ, და რო-მელ იგი ვასმობს თვისს მეცნიერებულმა ხანისამ, წავიდა რა მუნ იყითხა ზემსკის პროგუ-რორი იგი.— იგი ზის სუფრაზე, უნასუსა მოსამსახუ-რემან მას, და სარწმუნოთ იუა რომ შენთვს თავს არ შეიწენს, და არ გაუშვებს პურის ჭამასა.

ადელიდა აიმულებდა ვეღრებითა, სოსოფდა მინუ-
ტსა ნახესა მისსა. კითარ გამოშტერულებად! უმრახ-
და მოსამსახურე,— მხეცსა ამას არ ესმოდა, კითარი
ეცცხლი სწავლდა შინაგანსა მისსა. გარნა, საცხო რა
სიმშენიერე დ სიახლებზე ქალისა, განიხრასა, მი-
უცილებელდ მოიღებარებს სენირი. ბოროტ-ხარის-
ხოდმი შეთანაკრთყობული ბილწი ანუ რებისა, დაცდა
სუფრითუან დ მოვიდა ქალთან, სახემან მისმან შეი-
ურო სიბილწე გულისა მისისა, დ შთაიხსხელდ თუ შთ-
რის შეცერი განხრასვა. ადელიდა, არა მიუქრებულმა
ამისამ, რომ სიმშენიერე თუ ეუსის მას დამნაშავდ
ჩემს დამცრობისა, ეცადა რათა დამშეიდოს მისი უ-
გლი კავრიანობა. იგი ქჩენა უუმშენიერესად თვალით
მას ფინთისა დ შერალისა კაცისათა; რომელსაცა ჭი-
თხოვა ბოროტმან მან წასკა დ მოცდა მას თავის
სახლში.

ნაშიან მზრუნველობამან მუდანისა ჩემისმან, დ
შოსმარებულმან, ერთგულებამან, რათა მომანიჭოს მე
განთავისუფლება, მოაკლეს მას მშედელობად საშიშრო-
ებისა; სსეპრ, სული მისი იუო ესოდენ კეთილშობი-
ლი, რომელ ურ ძალა-ედვალა. წინასწარ ეფიქრა გაუ-
ნატიურებად. ამისათუ ერთის თან განმეოლის მოახ-
ლით იქმნა მიუვანილ დანიშნულს მის სახლში, რო-
მელსაცა ჭიახავდა დამსსნელად თუ ის ქმრისად. სენა-
რმა მიიღო იგი ჩატივითა დ კეთილის გულის ჩენე-
ბითა, პირველიდგან იუო იგი მოტეშუბულ; არამედ კა-

დას უკანონოსა არა ესანურემელების დაბრმავებად. — ბოროტმან სენარ ბრწყა თუ ბდისა მოხმარება ბირ-თხე-თბისა, და განუცხადა მას აშეარად, რომელ თავის უმ-ლება ჩემი უნდა მიზღვეულ ქმნას ფასითა ჩემს გა-უძრიულებისათა. ბირუტეო! დაუშვირა ქალმან, გამო-ცლით გაანჩხლებულმა; მალგიმსა შენ კოდვენ ბორო-ცად სარცებლობად მდგრადი მიმისა შეწუხულის დედა-კაცისათა! უწეოდე, რომელ სიცოცხლე ქრიმისა ჩემისა გაოდენ უშეირჩასებს არა მჩანს, ვითარცა ბატივი ჩემი. უწეოდე ბოროტო! რომელ მე განვისაზღვრავ სიკედი-ლისა, ვიდრელა გაწმილებასა..... მე ვიზოუნი უკრძნობუ-ლესთა და აღვადგენ მათ შესაწალუბელდა!.....

ადელაიდა გამოვარდა მაშინევ მის რჯულის გამ-ტესის სახლიდებან, და ესწრავებოდა განშორებას, არა მცოდნელი თუ საით თანამდებ არს წარსეყლად. იუო თერთმეტი სახთი სალამოსი, და განსუენებისა თვისისა-თვს არა ფიქრობდა; — განსხვავებული მისი ერთგულება არა ნებას-ჭრთავდა მისელად ტრასტირსა მინა საწვე-გელსა, და ესე უსაგრძნობელები დედაკაცი ისათნოებდა თვის შორის იმედითა, რათა შემითანაერთოს თვისი მე საწოლი სართვა შინა. არამედ იუო უკვე დაცვიანებულ, და მიშმართა ერთსა ბატივცემულს სახლსა, სადაცა გვა-ქუნდა ოდენმე ერთობა, შეუდგა სინათლითა თუალისა თვისისათა, და დაურეცა კარნი, ჰქითხა სად ჸსცხოვრებს უფალი.... გაჭვეირდნენ სილვასა ზედა ესდენ უდოროთ ამა დედაკაცისას საშუალ ცარიელისა მოედნისა; არა-

მეღ მსმენელთავანმან ერთმან მის საცელისამ, რომელიცა იუო ეოგლისეგან ჩატევეჭული, მოსუცემულმან დედაკაცმან ასწოვლა სისლი მისი თჯითთა მმდვანელთბითა. შენ მისკლით უნდა გახვდვიქმნინათ ერგელი, რომელნიცა ჩატულებისამებრ ქალაქისა წყებთდიან ადრე; არამედ შროლივ სისლეულთა მისწიეს ბდელაიდა დიდის სიხარულით, და უჩენეს ეოგელი თანა-შემწეობა და ნუცმისცემა, გითარეცა ითხოვდა მდებარეობა მისი.

